შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების მინჭების წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1 აღნიშნული დებულება არეგულირებს სტუდენტისათვის სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიის მინიჭების წესსა და პროცედურას.

1.2 სტიპენდია არის ფულადი ჯილდო, რომელიც არ წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას. სტიპენდია შეიძლება დაენიშნოს ნებისმიერ ფრიადოსან სტუდენტს;

1.2 სტიპენდია გამიზნულია იმ სტუდენტთა წახალისებისათვის, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით და აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1.4 შერჩევის საფუძველზე „სტიპენდია“ გაიცემა ყოველთვიურად ერთი სემესტრის განმავლობაში. თუ სტუდენტისათვის სტიპენდიის მინიჭების წესის თანახმად, არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება „სტიპენდიის“ ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

1.5. უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე ოთხ სტუდენტს ენიჭება სტიპენდია ერთი სემესტრის განმავლობაში. აქედან შესაბამის სასწავლო, წელზე სტიპენდიას მიიღებს მხოლოდ ერთი სტუდენტი. სტიპენდიის მოპოვება არ გამორიცხავს იმავე სტუდენტის მიერ შემდეგ სემესტრში სტიპენდიის მიღების შესაძლებლობას.ოთხი სტიპენდიიდან ერთი არის სახელობითი (გურამ თავართქილაძის სახელობის სტიპენდია) დანარჩენი სამი კი ჩვეულებრივი სტიპენდია.

მუხლი: 2. სტიპენდიის მინიჭების წესი

2.1 სტიპენდიის მინიჭების ან მისი ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს რექტორი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

2.2 სტიპენდიის მოპოვების უფლება აქვს იმ სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ყველა საგანში აქვს შეფასება ფრიადი (A), გამოირჩევა მაღალი ზნეობითა და დისციპლინით. თუ შესაბამის სასწავლო წელზე მყოფ არცერთ სტუდენტს არ აქვს შეფასება ფრიადი (A) ყველა დისციპლინაში სტიპენდიის გამოყენება სხვა სასწავლოწელზე მყოფი სტუდენტისათვის დაუშვებელია.

2.3 ფაკულტეტის დეკანი სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლის შემოწმების შემდეგ (რომელიც დგინდება სტუდენტის მიერ დაგროვებული ქულების ჯამის გაყოფით სტუდენტის მიერ გავლილი საგნების რაოდენობაზე), შეარჩევს საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტს/სტუდენტებს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მათ მონაცემებს. სახელობითი სტიპენდია მიენიჭება იმ სტუდენტს რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი აკადემიური მაჩვენებელი ფაკულტეტზე.

2.4 სტუდენტს უფლება აქვს ყოველ მომდევნო სემესტრში განმეორებით მიიღოს სტიპენდია ამ დებულებით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2.5 სტიპენდიის მიმღების კანდიდატურის დოკუმენტაციის განხილვასა და შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

2.6 გადაწყვეტილება სტიპენდიის მინიჭების თაობაზე საჯაროა.

2.7 თუ ერთი და იმავე სასწავლო წელზე მყოფ სუდენტებს აქვთ თანაბარი აკადემიური მაჩვენებელი მაშინ მხედველობაში მიიღება სამეცნიერო საქმიანობაში მიღებული მაღალი შედეგები, კერძოდ:

I. პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სტუდენტის მიერ საერთაშორისო კონფერენციებში ნაჩვენები მაღალი შედეგები.
II. შემდეგ რესპუბლიკურ ან შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციებში დაკავებული ადგილები.
III. შემდეგ საუნივერსიტეტო სამეცნიერო გამოცემებში და სხვა გამოქვეყნებული ნაშრომთა რაოდენობა.

2.8 თუ რამდენიმე კანდიდატს ისევ აქვს თანაბარი მაჩვენებელი, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სტუდენტს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის სახელით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში.

2.9 ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ხმა. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

2.10 რექტორი ვალდებულია წარდგინების მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში გამოსცეს ბრძანება სტიპენდიის მინიჭების შესახებ ან შენიშვნებით დაუბრუნოს ფაკულტეტის საბჭოს.

2.11 თუკი რექტორი 2.10. მუხლში დადგენილ ვადაში არ გამოსცემს ბრძანებას და უკან უბრუნებს წარდგინებას ფაკულტეტის საბჭოს (იმ მოტივით რომ ფაკულტეტმა ამ წესის საწინააღმდეგოდ მიიღო გადაწყვეტილება), ამ უკანასკნელს უფლება აღარ აქვს რექტორს მიმართოს წარდგინებით იმავე კანდიდატურისათვის სტიპენდიის მინიჭების შესახებ. თუ რექტორის მიერ წარდგინების უკან დაბრუნების საფუძველი არის ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას პროცედურული საკითხების დარღვევა, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია წარდგენილ იქნას იგივე კანდიდატურა.

2.12 სტიპენდია სტუდენტს უწყდება პირადი განცხადების ასევე იმ შემთხვევაში როდესაც მას შეუჩერდება ან შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

2.13 თუ პირი მოიპოვებს სახელობით სტიპენდიას მას იმავდროულად არ მიეცემა ჩვეულებრივი სტიპენდია და პირიქით.

2.14 სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების ოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი: 3. დასკვნითი დებულებები.

სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულება ძალაში შედის რექტორის მიერ ბრძანების გამოცემისთანავე. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის გადაწყვეტილებით.